მატჩი ტაშკენტში

ტაშკენტი. “ფახთაქორის” სტადიონი. 9 მაისი.

“ფახთაქორი” (ტაშკენტი) – “დინამო” (თბილისი) 3:0 (2:0).

“ფახთაქორი”: ჩეჩეტინი, უბაიდულაევი (კურნევი), აშიროვი, მოგილნი, ზაგუმენიხი, კორჩენოვი, ჩურკინი, ანი, მაკაროვი, ფიოდოროვი, ბაკანოვი.

“დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე (კოპალეიშვილი), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: მ. კუსენი (ლვოვი).

დუბლიორები – 2:0.

მატჩის დასაწყისში არაფერი იყო ისეთი, რომ თბილისელებს ელოდათ წაგება და ისიც ასეთი ანგარიშით. მიმდინარეობდა თანაბარი ბრძოლა, შეტევებს მონაცვლეობითი ხასიათი ჰქონდა და ორივე მხარეს არაერთხელ მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. კერძოდ, თბილისელთაგან ეს შეეძლოთ ჯერ ჩივაძეს, შემდეგ ქორიძეს, შენგელიას.

პირველ წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს 35–ე წუთზე “დინამოს” მცველებისა და მეკარის შეუთანხმებელი თამაშის შედეგად. ზაგუმენიხის შორეულ დარტყმაზე მათ დროზე ვერ მოახდინეს რეაგირება და ბურთი ბადეში აღმოჩნდა.

გავიდა 5 წუთი და სტუმრების დაცვაში კვლავ იქნა დაშვებული შეცდომა. გაბელიამ შეძლო მაკაროვის დარტყმის მოგერიება, მაგრამ ბურთს მიუსწრო ანმა და ანგარიში ორამდე გაზარდა.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა სცადეს გარდატეხის შეტანა თამაშში, რამდენიმე შეტევაც განახორციელეს, მაგრამ როცა 53–ე წუთზე ფიოდოროვ–ჩურკინის კომბინაციას მესამე გოლი მოჰყვა, მატჩის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი აღმოჩნდა. “ფახთაქორმა” დიდი ანგარიშით გამარჯვება ჩაიწერა ლიდერთან შეხვედრაში.

“ლელო”, 11 მაისი, 1978 წ.